

899-962-1

5-863

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა

ხელნაწერის უფლებით

გაგა ცობნიაშვილი

**XX საუკუნის 90-იანი წლების
ქართული ნოველა**

10.01.01 ქართული ლიტერატურა

სადისერტაციო მაცნე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

1998

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმოწერა:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რევაზ მიშველაძე**

ემსკარტი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლადო მინაშვილი**

ოფიციალური ოპონენტები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დავით თევზაძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **დავით კოტორაშვილი**

წამყვანი ორგანიზაცია:

ა. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1998 წლის 23.07.13⁰⁰ საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს P10.01C№02 სხდომაზე. მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 1998 წლის 3/9-98წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, პროფესორი **ნოდარ ტაბიძე**



ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ლიტერატურის ორიგინალური ჟანრი ნოველა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, მკითხველზე დიდ იდეურ-ესთეტიკურ ზეგავლენას ახდენს. ლიტერატურის მკვლევარნი მისი წარმოშობა-ფორმირების შესახებ მეტ-ნაკლებად განსხვავებულ შეხედულებებს გვთავაზობენ.

XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული ნოველის იდეურ-მხატვრული ანალიზისთვის ჩვენს მიერ შეგროვილმა მასალამ ქართული ნოველის ძირების შესახებ მსჯელობის საშუალება მოგვცა. ჩვენს ნაშრომამდე შექმნილი გამოკვლევები ამ საკითხს ცალკეულ მომენტებზე აქცენტირებით აშუქებენ. მათზე დაყრდნობით შევეცადეთ შეგვექმნა ნოველის წარმოშობა-ფორმირების ერთიანი სურათი, რაც თავის მხრივ, გვეხმარება ნოველის, კერძოდ, ქართული ნოველის განვითარების ხაზის წარმოსახვაში. ამ ხაზის ლოგიკური გაგრძელებაა ჩვენს მიერ შესწავლილი მონაკვეთიც.

XX საუკუნის ქართველ ნოველისტთა მოღვაწეობა გარკვეულ ეტაპზე შესწავლილია. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შრომები მძიმე კონიუნქტურული ცენზურის პირობებში იქმნებოდა, მათში თავისუფალი კრიტიკული აზროვნებით წარმოჩენილია ნოველის იდეურ-მხატვრული საზრისი, მაგრამ 90-იანი წლები, მიუხედავად მისი მძიმე ისტორიული ხასიათისა, საინტერესოა ამ პერიოდში მოღვაწე მწერალთა აზროვნების ფორმებით. თანამედროვე ნოველისტი რეალურად პირველად ამ ეტაპზე თავისუფალი „მოდარაჟე თვალისაგან“. თუ წინა პერიოდის თხზულებებსა და მათ იდეურ ანალიზს ატყვია ცენზურის დალი, 90-იანი წლების ნაწარმოებები მწერლის მიერ განცდილის მკითხველამდე დაუბრკოლებლად მიტანის საშუალებას იძლევა: ამ ნაწარმოებთა შესწავლა ნათლად აშიშვლებს ეპოქის სულსა და ავტორის ჭეშმარიტ იდეურ საზრისს. ასეთ ვითარებაში დაყენებული ეროვნული და სოციალური პრობლემები უდაოდ საყურადღებოა.

აღნიშნული ეპოქის ქართული ნოველა თავისი დროის პირუთვნელ მხატვრულ მატრიანედ გვევლინება. მოწინავე ქართველი

-1643-